ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2023 წლის 11 თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიში

ცენტრის მუშაობის ძირითადი მიმართულებებია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებათა გავრცელების პრევენციის ღონისძიებების განხორციელება, ინფექციურ დაავადებათა ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში მონაცემების შეყვანა, დაავადებათა ადრეული გამოვლინება და პრევენცია.

პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალების (ვაქცინების, სტრატეგიული შრატების , ტესტების) მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის.

2022 წლის ოქტომბერში „პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრისა და იმუნიზაციის მართვის წესების დამტკიცების შესახებ“ 2015წ 15 ნოემბრის ბრძანება #01-57/ნ - ის მოთხოვნის შესაბამისად სამედიცინო დაწესებულებების და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ასაკობრივი კონტიგენტის დაზუსტების და ანალიზის შედეგად შევადგინეთ 20223 წლის პროფილაქტიკური აცრების საორიენტაციო გეგმა დადგენილი კონტიგენტის მიხედვით (0-1 წლამდე, 1 წლის, 18 თვის, 5 წლის და 14 წლის ასაკობრივი ჯგუფები) .განისაზღვრა ვაქცინების წლიური საჭიროება იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებებისა და ფიზიკური პირების სამოქმედო ტერიტორიული კონტიგენტისათვის.(მუნიციპალიტეტის 2სამედიცინო დაწესებულებისა და 18 ფიზიკური პირისათვის). ამავდროულად საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისაგან ყოველკვარტალურად ღებულობდა სპეციფიურ შრატებს და ანტირაბიულ ვაქცინას.

ასაცრელი მასალა ინახება ცენტრში არსებულ მაცივრებში სათანადო ტემპერატურული რეჟიმის დაცვით. მაცივრების ტემპერატურული რეჟიმის კონტოლს ყოვველდღიურად ახორციელებს ცივ ჯაჭვზე პასუხისმგებელი პირი.სამედიცინო დაწესებულებების და სოფლის ექიმი ფიზიკური პირების მოთხოვნის საფუძველზე და ეპიდჩვენებით სწარმოებს აღნიშნული საშუალებების გაცემა სათანადო წესით მარაგების მართვის მოდულიდან. ყოველთვიურად ხორციელდება იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება როგორც დკსჯეს-ში ასევე იმერეთის რეგიონალურ სამმართველოში.

წარმოგიდგენთ პოფილაქტიკური აცრების 11 თვის გეგმა-შესრულება თითოეული კომპონენტის მიხედვით. 2023 წ. ჰექსა ვაქცინით 0-1 წლამდე ასაკის კონტიგენტი იყო 147, მე-3 აცრა დაამთავრა 106 ბავშვმა. მოცვამ შეადგინა 72%. დყტ +აპვ რევაქცინაციის კონტიგენტი იყო

202 ბავშვი. აიცრა 174. მოცვამ შეადგინა 86%. წწყ ვაქცინით--მოცვამ შეადგინა 83%. 1 წლის ასაკის კონტიგენტის მოცვამ შეადგინა---98 %.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრი ყოველთვიურად აწარმოებს დამხმარე ზედამხედველობის განხორციელებას მუნიციპალიტეტში შემავალ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში., რაც მოიცავს იმუნიზაციის შესრულებას, აცრების დროულობის მაჩვენებელს, „ცივი ჯაჭვის" სისტემის მდგომარეობას---ვაქცინების შენახვის პირობებს.

დამხმარე ზედამხედველობის მიზანია გაუმჯობესდეს პირველადი ჯანდაცვის რგოლში არსებული მდგომარეობა.ახალი მაცივრები გადავეცით ალისუბნის, საზანოს, ეწრის ნახშირღელეს ამბულატორიებს. ვაქცინების მიწოდებაში წყვეტილობა არ დაფიქსირებულა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადების შემთხვევის შესახებ შეტყობინებებს ვღებულობთ ყველა სამედიცინო დაწესებულებიდან.

2023 წ განმავლობაში რეგისტრირებული იყო დაავადებები: ყივანახველა--1, ქრ.ჰეპატიტი-ბ--3, ჰეპატიტი ც--21, მ/შორის ლაბორატორიულად დადასტურებული--18, სავარაუდო წარმოშობის დიარეის 46 შემთხვევა, ლეპტოსპიროზი--8, ჩუტყვავილა--23, ტუბერკულოზი ფილტვის ფორმა--9, მ/შორის ლაბორატირიულად დადასტურებული მგბ+ 5, ცოფის რისკის ექსპოზიცია--436, (15 წლამდე—144) მ/შორის პატრონიანი ცხოველით დაკბენა -- მოხეტიალე ცხოველით--, საანგარიშგებო პერიოდში (2023 წ 11 თვის განმავლობაში) ვაქცინაციის კურსი ჩაუტარდა--436 ადამიანს, მ/შორის სრული კურსი --49, პირობითი--476, 2023 წლის განმავლობაში გაიხარჯა -1673-- კომპლექტი ანტირაბიული ვაქცინა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს მუნიციპალურ სამსახურთან საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს აქვს ყოველდღიური კომუნიკაცია არა მარტო დამკბენ ცხოველებზე 10 დღიანი მეთვალყურეობის დამყარების კუთხით, არამედ სხვა ზოონოზურ ინფექციებზეც (ბრუცელოზი, ჯილეხი,ცოფი) .

დაავადებული პაციენტების და მათთან კონტაქტში მყოფი პირების ეპიდკვლევა ტარდება ეროვნული რეკომენდაციის მიხედვით. ,

სეზონური გრიპი; ყოველი წლის სექტემბრის თვეში ხდება სეზონურ გრიპზე ასაცრელი კონტიგენტის დაზუსტება პრიორიტეტების მიხედვით. 2023 წლის განმავლობაში გრიპზე აიცრა სულ--1816--პირი. მათ შორის. შაქრიანი დიაბეტით დაავადებულები--354--, შშმპ ბენეფიციარები და მომვლელი პერსონალი -85--- სამედიცინო პერსონალი --119-- , დიალიზზე მყოფი 19 ადამიანი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები-178 -, სკოლამდელი აღზრდის

დაწესებულებების პერსონალი- 125-, ხანდაზმული პირები--850 , სხვა კონტიგენტი--84.

სეზონის დაწყებამდე მოხდა ზემოთ აღნიშნული კონტიგენტის ვაქცინაცია გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინით.

სჯ ცენტრი აწარმოებს ყოველკვირეული მონაცემების შეგროვებას მუნიციპალიტეტის მასშტაბით ზემო სასუნთქი გზების მწვავე რესპირატორულ ინფექციებზე და ახდენს მიმდინარე ანალიზს შემთხვევების მატებასთან ან კლებასთან დაკავშირებით.

2023 წელს ცენტრის მიერ განხორციელდა 7 წლამდე ასაკის ბავშვების გამოკვლევა სისხლში ტყვიის შემცველობაზე. კვლევა განხორციელდა შერჩევითი პრინციპით 22 ბავშვზე. გამოვლენილი შემთხვევა გადავამისამართეთ ქუთაისში სამკურნალო დაწესებულებაში შემდგომი მკურნალობისა და დამატებითი კვლევებისათვის.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალურ ცენტრი ახორციელებს ინტეგრირებული სკრინინგის მუნიციპალურ პროგრამას, რაც ითვალისწინებს 18 წლიდან მოსახლეობის გამოკვლევას ც ჰეპატიტზე და პაციენტების ჩართვას შემდგომ უფასო მკურნალობაში.11 თვის მონაცემებით სკრინინგი ჩაუტარდა--1148 ადამიანს. გამოვლენილი დადებითი შემთხვევები გადავამისამართეთ კონფირმაციული კვლევისთვის და პაციენტებმა დაიწყეს მკურნალობა.

ცენტრის დირექტორი /თ.არჯევანიძე/